ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**პ/23249660**
თარიღი: **05/09/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი N 04

დ. ლენტეხი 3.09.2024

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი, კომისიის წევრები: კახა ლიპარტელიანი, დავით პირველი, მარეხი ონიანი, ირინა ლიპარტელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მარადი ლიპარტელიანი და სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

დღის წესრიგი: 1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამანაშურში მცხოვრებ ნათია ბერიძის განცხადების განხილვა.

/მომხს: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა სხდომას გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლამანაშურში მცხოვრებ ნათია ბერიძის განცხადება:

განცხადების თანახმად ნათია ბერიძის შვილი - მარიამ ქურასბედიანი სწავლობს სსიპ ლაშა ქურასბედიანის სახელობის , სოფელ ხოფურის საჯარო სკოლის მეორე კლასში. ლამანაშური-ხოფურის ხაზზე მოსწავლეთა ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია. ვინაიდან მარიამ ქურასბედიანს გაკვეთილები უფროს კლასელებთან შედარებით ადრე უმთავრდება, ამიტომ მშობელს უწევს მისი ტრანსპორტირება, ხოლო საწვავის ყოველდღიური შეძენის საშუალება ოჯახს არ აქვს. ქალბატონი ნათია ითხოვს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოფურის საჯარო სკოლას დაემატოს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის კიდევ ერთი ხაზი ,,ლამანაშური-ხოფური“, ან ტრანსპორტირებისათვის გამოიყოს საჭირო რაოდენობის საწვავი, რომ მისმა შვილმა შეძლოს სკოლაში ყოველდღიური გამოცხადება.

სოციალური კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ ნათია ბერიძემ საკრებულოში ანალოგიური განცხადება შემოიტანა მიმდინარე წლის 6 მარტსაც. (N19/9720661-97) და კომისიას გააცნო შესაბამისი პასუხი, განცხადების ასლი, რესურსცენტრის უფროსის ფუნქციების შემსრულებლის ბადრი ქარდავას პასუხის ასლი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაგზავნილი პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ ლამანაშური-ხოფურის მარშუტზე მოსწავლეებს ემსახურებათ ტრანსპორტი და დამატებითი ტრანსპორტის გამოყოფა ვერ ხერხდება.

საკითხთან დაკავშირებით კითხვა დასვა მარეხი ონიანმა: რა ღონისძიებები გავატაროთ იმისთვის, რომ აღნიშნული ოჯახის თხოვნა გათვალისწინებული იქნას და გაეწიოს დახმარება?

მერის მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა რომელიც არის ამავე დროს არის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურეობის უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე პასუხად აღნიშნა, რომ მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი ლამანაშური-ხოფურის ხაზზე, თუ რესურსცენტრის ხელმძღვანელი და ხოფურის საჯარო სკოლის დირექტორი წერილობით დაასაბუთებენ, რომ მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საჭიროა კიდევ ერთი დამატებითი ხაზი ან დამატებით, ამ შემთხვევაში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის კომისია განიხილავს ამ საკითხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

გადაწყვიტეს: რადგანაც ნათია ბერიძის ოჯახი არის სოციალურად შეჭირვებული და ოჯახს უსახსრობის გამო დამოუკიდებლად , საკუთარი ტრანსპორტით არ შეუძლია ატაროს თავისი მეორე კლასელი შვილი სკოლაში ამიტომ ეთხოვოს ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს - გამონაკლისის

სახით მიაწოდოს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის კომისიას არგუმენტირებული, დასაბუთებული წინადადება აღნიშნული ოჯახის მიმართ შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე.

ზურაბი ონიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ საკითხთა კომისია-სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე